

რედაქცია: სოლოლოკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწმარ მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: თელავის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოფელ დღე მრავალთა გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რადგანაც დღეს, 8 მკენისთვეს, დღესასწაულია, ამის გამო პარასკევს, 9 მკენისთვეს, გაზეთი არ გამოვა.

საქართველო

დღიური

* * * ზუზინწინლამ, 7 სექტემბერს, საღამოს 8—9 საათზედ, ამდენი ძუნწობის შემდეგ, მოხსნა პირი წვიმამ ჩვენს ტბილისში და 2—3 საათის განმავლობაში ისეთ ნაირად იწვიმა, რომ ქუჩებში პატროსანი ნაკადულები და ნაკადულები-დამ მდინარეები მოჩხრიალდებდნენ. დღესაც ქუჩები ატალახიანებულები არიან.

* * * რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ ართვინში გახსნილია ტელეგრაფის სტანცია.

ბათუმში, ჩვენი ჯარების შესვლის შემდეგ, 25 აგვისტოდამ გახსნეს სტანცია და აგრეთვე იღებენ ყოველ გვარ ტელეგრაფამებსაო.

* * * სიღნაღად იწერებინან, რომ იქაური გამომძიებელი ხოსროვეი გადაიყვანეს და იმის ადგილზედ ერთი ისეთი დანიშნეს, რომ აღარც სიღნაღს და აღარც იმის მაზრას არ შეუძლია მოთმენაო. მოველივე საქმეს, რაც უნდა იყვეს, რომელიც ჯერ მაგის ხელამდი არ მისულა და არც იცის, რაში მდგომარეობს, ეს ამ პირებისთვის ნაობახტში ოთახებსამხადლებსო და მეიდანზე გამოდის და ყვირის, უნდა დავატყვევოვო. სოფელში რომ მიდის გამოსაძიებლად, ყოველივე საქმეს გაცარცვას ეძახის და ატუსაღებს საწყალ გლეხებსაო. მრთხელ ამასთან 150 მანეთის საჩივარი იყო, ამან გაცარცვა დაარქვა და როცა თავის თარჯიმანმა გაუსწორა, შეჰყვირა: „მე იურისტი ვარ, უფრო ვიციო.“

მეორედ მეიდანზე დაინახა ერთი აზნაური, რომელსაც საჩივარი ჰქონოდა ამასთან და დაუწყაო ღრიალი. აზნაურმა მიუგო, რომ იქ არ არის ადგილი განს-

ჯისა, სამართლისა. გამომძიებელმა იხმარა მათრახი, მაგრამ აზნაურმაც თავისი მაგარი მუშტი მიუღერა და როგორც იყო მოიშორაო.

ამნაირად გამოდის სალაყბოზე და ღრიალებს, ამას ეცემა, იმას ეცემა და რიგიანათ კი არაფერს არ აკეთებსო და სხ. ბევრი.... იწერება ერთი იქაური კორრესპონდენტი.

* * * ამ სამი დღის წინეთ ანჩახატის უბანში ორი წლის ყმაწვილს საღამოზე სამთლიდამ პერანგზე ცეცხლი მოჰკიდებია და დამწვარა, მომკვდარა. დედა ამ დროს კარში ჰყოფილა.

ზაფრთხილება შეილის პატრონ დედებს!

* * * ტბილისის პოლიციის გვერდით ამ თვის 4-ს გაუტეხნიათ მესაათის ღუქანი და ათი ათასი მანეთის ოქრო და ვერცლი წაუღიათ.

პოლიციის კარებთან რომ ეს არის, მიყრუებულ ქუჩებში რალა გასაკვირველია უარესობაც!

* * * ამ დღეებში გამოვიდა ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელად „ფულის სიმღერა“, რომელიც გადმობეჭდილია 1866 წლის „დროებიდან“. წიგნი ღირს ერთ შაურათ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმში, 3 სექტემბერს. ბათუმზე წამოსული აჭარის ატრიადი, რომელსაც მოუძღოდა ჩვენკენ გადმოსული აჭარის ბეგი, ღენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და ატრიადის ნაჩლინკი ტრეიტერი, — უკვე ესენი გუშინ ნაშუადღევს მშვიდობიანათ ჩამოვიდნენ ბათუმში. იმან გზაში არაერთი დაბრკოლება არ მისცემია. — ღენერალ მაიორმა შერიფ-ბეგმა თან ჩამოიყვანა აჭარის ბეგებიდგან და ალაღარებიდგან შემდგარი დეპუტაცია მთავრობისათვის წარსადგენად, რომლებმაც უნდა გამოუცხადონ მორბილება და თავყანის ცემა რუსეთს.

საზოგადოთ ბათუმში სრული მშვი-

დობიანობა არის; ხალხი თავის ბედს დაემორჩილა. ხალხისაგან გამოჩენილათ არაერთი უკმაყოფილება არ ისმის. მარტო იმას ამბობენ ახლა: — „ჩანს ალლახს ჩვენთვის ასე უნდოდაო“.

პირვერული და ვიხვითური პოლიტიკები საშინლათ გაიფდა აქა ასე, რომ ათი ერთ გროშათ არის! . . .

ბათუმში გუბერნატორათ დანიშნული ძამაროვისაგან გუშინ სადილზედ მოწვევულნი იყვნენ ბათუმის და ამის მაზრების ბეგები და ალაღარები.

სადილი იყო გამართული მსმალისაგან დატოვილ სასამართლოს წინ მეიდანზედ, სადაც შეადგენდა იმისი მართულობა ბრწყინვალე მთვარე, გაჩაღებული ფარნები გარეშემო, პალატკები მუშუკა და ევროპიულათ ვაწყობილი სტოლი ნაირ-ნაირი სასმელებით და თათრული ბერბელებით. . . .

ტოლუმბაშობა იკისრა ღენერალ ხიმშიაშვილმა (შარიფ-ბეგმა), რომელმაც თავის მახვილობით და აჭარული ბეგებით მთელი იქ მყოფელების მადლობა და ყურადღება დაიმსახურა. —

პირველად ჩვეულებრივად აღდგომელს ხელმწიფე იმპერატორი, რომლისათვისაც გაუწყვეტელს „ურას“ ჰყვიროდნენ. ბოლოს შეუდგა სხვა სადღევრელოებს და გაათავა იმით, რომ წამოდგა და —

„მსეც იმათი სადღევრელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვეერთა! მისურვით იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და არც ჩვენ შთამომავლობისაგან დავიწყებული არ იქმნება მათი შრომა და კაცობრიობაო.“ ჩარმოსტქეა.

როგორც ეტყობა, უნაყოფოთ არ ჩაუვლია ღენერალ შერიფ-ბეგის საქართველოში მოგზაურობას და განათლებულ ხალხებთან განწყობილობას.

უკანასკნელათ მადლობა ისმალა ორივეს მხრით. ძამაროვემა გამოუცხადა თავის სტუმრებს: „ჩვენთვის დიდათ სამწუხაროა, რომ ამ ომიანობის წყალობით, საწყალ ხალხს ძივილ დაღარებულს ვხედავ. თუ გვექნება შემდგომსათვისაც გაუწყვეტელი თქვენი ერთგულება და შემწეობა, არის საშეაღება ამ ხალხის იმ ნაირი უხედურებისაგან გამოხსნისაო; აი სხვათა შორის, ეხლა ბევრი საქმეები გაიშლება და იმ თვანი ერთი ის იქნება, რომ გზის კეთებას

დავიწყებთ, რომელიც პირველი საშვალეობა ღარბთ, დაცემული ხალხის ფეხზე წამოსაყენებელიათ. მუ საზოგადოთ ისინიც მიიღებენ მონაწილეობას და შრომას, იმათ ადრიათ შეუძლიანთ ამითა თავიანთი ცხოვრება გააუმჯობესონ.

მგრეთვე დიდი მადლობა გადაუხადა, რომ თქვენისთანა ძვირფასი სტუმრები არიან ამალამ ჩვენთანაო.

ამ წაირ მოძაველთან ბედნიერ სიტყვებზე მთელმა სტუმრებმა დიდი მადლობა გამოუცხადეს და „იშალან, იშალან!“ (ღეთის შემწევობით) ჰყვიროდნენ შარბე-ბეგმა ამითი დაბოლოვა ეს მადლობა, რომ სთქვა შემდეგი:

— ჩვენ ბატონებო, დიდი მადლობელი ვართ, რომ ხელმწიფე იპერატორის კაცთ მოყვარეობამ და წყალობამ იქამდე მიადწია, რომ ჩვენ ამნაირი ბედნიერება მოგვენიჭა, რომ თქვენისთანა გამაჩინილ პირებთან გვედირსა ერთათ სხდომა და დროს ვატარება, თორემ ჩვენ სამისო ძვირფასი სტუმრები არა ვართო.

პოლიცემისტერ შურულსაც უნდა უაღლოდეთ, რომ იმისი განკარგულებით ყველაფერი შესაფერათ, რიგზე იყო და იმედი გვაქვს, რომ მომავლისათვისაც თავის შრომას არ დააკლებს ქალაქის წყვერებას.

მსმალოს ვირები ჯერ კიდევ სულ არ გაუყვანიათ ბათუმიდან, დღეს-ხვალ

იმათგანაც ბათუმის გასუფთავებას მოველით. ე. ი. მალე გაგზავნიან იმათაც. ღღეს მოიყვანეს აქ მობრუხით ჩვენი აყვანილი მსმალოს ტყვეები.

ბრაზანა

მუთაისი, 2 მენკისთვის. ღღეს დაითხოვეს აქ აქაური სამი ქვევითი დრუჟინა, რომელნიც იყვნენ გამოწვეულნი ივლისის პირველ რიცხვებში. უნდა გეყურებინა, როგორ სიხარულში და აღტაცებაში იყვნენ მილიციონერები, როდესაც მათ გამოუცხადეს თავისუფლება! მე მინდა ორიოდ სიტყვებით გარდმოგცეთ—თუ რა პირობებით იყო ეს დრუჟინა მიწვეული და რით ითხოვენ იმას ამ ეჟამთ.

როგორც ზემოთ ვსთქვი, ეს სამი შემონახული დრუჟინები (запасные дружины) შედგენილიყვნენ პირველ ივლისის რიცხვებში. მითთველ მილიციონერს გაჩენილი ჰქონდა ჯამაგირათ თვეში ხუთი მანეთი; ამას გარდა პირველში ტანსაცმელი სასელმწიფო გახლოდათ—ერთი ხელი ყველაფერი, მაგალითებო: ორი წყვილი პერანგი თავისამხანაგებით, შარვალი, ჩოხა, ელეგი, (ქილეტკა), ქუდი, ნაბადი, ყაბალახი, წულეები საცვეთლებით და „ახოლნი“ ჩექმები, რანეტა და პატარა ქეაბი, და ამ ტანსაცმელის და ნივთების შესაძენათ მთავრობიდან დანიშნულია თითო კაცზედ 40 მან.

დრუჟინების კომანდირები, თუ არცეცი ვინ, გაურბდა პოლიციონერებს, მაგრამ ნაკლებ ფასად მთავრობისაგან დანიშნულ 40 მანეთზედ, ე. ი. 33 მან და 34 კაპ. თითო კაცის სრულ ტანსაცმელზედ მხოლოდ ამათ არ ჰქონდათ აღებული სრული ტანსაცმელის შეკრვა, არამედ როდელიმე ნაწილი. ამ დროს მოუსწრო მათ უმთავრესმა ბრძანებამ, რომ ეს დრუჟინები უნდა გაუქმდესო და რაღა ეშველებოდათ; რაც გაჩივება ჰქონდათ მოატანინეს პოლიციონერებს და რაც არა—დარჩა დაუშვადებელი.

ამას წინეთა ქვენი „დროების“ ვარსკვლავი დენტის სიტყვებით (№ 171) უიღვევაც იყო მოყვანილი დლიურში, თითქოს „დრუჟინები 20 წასრულს მარია მომბისთვის დაითხოვეს“ და „არა სამუდამოდ, არამედ ორის წლის ვადით—ბილეთებით“. და სხვ.

პორრესპონდენტს ალბათ გაუკია ბრძანება, რომ დრუჟინები დათხოვილ იყო და დაუჩარებია ამავის შეტყობა, როდესაც რომ ჯერ ჯერობით უნდა შეეცყო—მართალია გახეთში შესატყობი მამავი, თუ არა! წარმოიდგინეთ, მკითხველო, რა გულის ღელვაში და მოუსვენარ მდგომარეობაში იქმნებოდნენ მილიციონერებს ნათესაობა, წაიკითხამდნენ ამ ცრუ ამბავს და ტყუილ მოლოდინებაში დარჩებოდნენ!

ბი საქმე რაში მდგომარეობს: მარ-

ფელტონი

უზ. ლოპიოს ავტორს

მოწყალეო ხელმწიფე. თქვენ საყვარელ დედა-ლობიას ისეთ საგნათ გეხატამთ, ურომლისათაც ჩვენი გლენკაცი ვითომც ისე ვერ სძლებს, როგორც თვეში უწყობოდ. მაგრამ ის გარემოება კი რომელთანაც ლობიო ასე მტკიცედ არის დაკავშირებული, სრულებით ფიქრათაც არ მოგვსლიათ. ეს გარემოება განლაშთ მარხვას, ის მარხვა, რომელიც ჩვენ გლენკაცს ისე მტკიცედ და წმინდათ სწავს, რომ მისი დარღვევა ეკკლესიის გატეხათ მიიჩნია. არამ თუ ჯანმთელს, სწეულს სისხლი გამშრალ გლენსაც, რომ ურჩიოდ მარხვაში ხორცის ჭამა და აუხსნათ კიდევ, რომ ხორცი მას სისხლა მოუშატებს, გასაღებს და წინააღმდეგ ლობიო კი უფრო სისხლს გაუშრობს, პასუხათ აი რას მოგიგებსთ:

ჩვენ ბატონო ერთი უსწავლეული ხალხი ვართ, სხვა მიზნითაც რა უბედურება რამე დაგვემართოს, მაშინათვე მარხვის ჭამას დავაბრალებთ და აბა ხორცის გულისთვის ტყუილად გულში ეჭვით ჩავიდოთ. ამ პასუხს, ჩემისაზრით, ისეთი საფუძველი აქვს, რომ უეჭველად მოსაწონიც არის. ლობიოს ან კი ვინ ჩივის, ბევრნი იმისთანებიც მოიძიებიან, რომ მთელს დიდ-მარხვას, დღეში ერთი ჩურჩხელით ატარებენ.

რომ გამოვიანგარიშოთ მართლმადიდებელ ეკკლესიისაგან დაწესებული მარხვები, ე. ი. ღიდმარხვა, პეტრე-პავლობიმარხვა, მარია მომბისთვის მარხვა, ქრისტე მომბის მარხვა, ოთხ-შაბათ-პარასკევები და სხვა დღიური მარხვები, გამოვა, რომ ჩვენი გლენი კაცი ვალდებულია წელიწადში ექვს თვეზედ მეტი სამარხო საქმლით იკვებოს. მთმცა სხვა სამარხო საქმელებსაც ბევრს ხმარობს, მაგრამ მაინც ამ მარხვებში ლობიოს ისეთი უპირატესი ალავი უჭირავს გლენს კაცს სუფრაზედ და ისეთი საჭირო საგანს შეადგენს მის ცხოვრებაში, რომ თქვენ უსაცილოდ ყველაფერში უნდა დაგეთანხმობთ. მაგრამ რაც შეეცება სხნოდღეებს, ამბზედ კი მოგახსენებთ, რომ ქართველი გლენი კაცი სულაც ისე დაუდევარი არ გახლავთ პირის გემოვნებაში, როგორც თქვენ გგონიათ.

პირის გემოვნებისთვის იგი ზრდის და ინახამს ათასობით ცხვარს, ღორს, ასობით კამეჩობას და ძროხებს, რომელთაც თუმცა ბევრი სხვა გვარი დანიშნულია ცაქვსთ, მაგრამ მინსაკლავათაც არასოდეს არ იშურებს ჩვენი გლენი კაცი ხორცის გარდა იმათგან სარგებლობს რძით, რომელიდანაც ამხადებს მაწონს, დოს, ყველს, ერბოს და ჰქვებს თავის სახლობას. ამის და გარდა დედაკაცები ზრდიან შინაურ ფრინველებს: ინდაურს, ბატს, ინეს და ქათამს, რომელთაც ძველად ჰყრიდნენ და თითქმის სულ შინსკამენ. ამის გარდა ჩვენ გლენი კაცი ხში-

რად გაინადირებს ხოლმე გარეულ ფრინველებზედ და ცხოველებზედ და აგრეთვე თევზზედაც. თევზაობას ის სასტაქ ზამთარშიაც კი არ ერბდება, ყინულთან წყალშიაც შედის იმის გულისთვის. ან ვინ არ იცის დიდ თოვლიან ზამთარში როგორ ფეხდაფეხ იჭერენ ხოლმე კურდღლებს: წელამდე თოვლში იფლობიან, მაგრამ სულაც არ დასდევენ გაციებას, იმათ ის კურდღლები ყველა მამუღურზე ელანდებთ. ისიც კარგათ ვიცით რა ხიფათები მოსდევს გარეულ ღორზე ნადირობას, მაგრამ იმან იცის მისი სუკების გემო და იმ გემოვნების დასაკმაყოფილებლად მამაცად მიიწვეს მასზედ. ისიც ვიცით, ინდაური რა გვარი ნებიერი ფრინველია და რა ძნელია მისი გაზდა, მაგრამ იმისი ხორცის გემო იციან და ამიტომ დედაკაცის ნაზი გული იმის მოვლას კისრულობს და შვეთვალ-წარბახოგოვები და პატარძლები იმათ განუწყვეტლათ ეალერსებიან, რომ ნათლიას და სხვა ძვირფას სტუმარს გემრიელი სადილით დაუხვდნენ. ან იმას რამდენჯერ შეხვდებით: ორმოში ჩაუვლიათ ღორი ან გოჭი და ასუქებენ, რომ ხორცი უფრო გემრიელი იყვის; აგრეთვე ამამენ ინდაურებს და მთელ: თვეობით სულ ცობს აყლაპებენ რომ გასუქდეს და უფრო გემრიელად შეეძქვნენ. თქვენისაზრით კი თუ ლობიო აღარ ამოიძიება მთლად აღარ იბკაცის სახალში, მაშინ სკამენ დოს, დო - შევამადს და სხვა. არა, ჩემო

თალია დრუჟინების ბრიგადის ღენჯრალმა შალიკოვმა კიდევაც გამოუცხადა დრუჟინების კამანდირებს, რომ დაეჩქარებინათ პოდრიადნიკები, რათა მათ წარმოადგინონ 20 აკვისტომდისინ მათთან გარიგებული ტანსაცმელები, მაგრამ დანიშნულ ვადაზედ ვერ წარმოადგინეს პოდრიადნიკებმა და დრუჟინის დარღვევა დანიშნეს ბეჯითად ღდის ღდეს.

ღდეს დაურიგეს თითო მილიციონერს რაც იყო დამზადებული ტანისამოსი და ჯამაგირი თვისა 9 მან. და 75 კობ. ამას გარდა, როგორც სანუქარი, მიეცათ იმათ 6 მან. 65 კობ., რომელიც რჩება მთავრობისაგან დანიშნული 40 მანეთი-დამ, რადგანაც, როგორც შევიტოვებთ, პოდრიადნიკებს გაურიგდნენ მთელ ტანსაცმელზედ 33 მან. და 35 კობ.—ის 16 მანეთზედ მეტი გამოდის. ამას გარდა ზოგიერთ მილიციონერთაგან არ აქვს მიღებული სრულათ ხვედრი ტანსაცმელი, თუ პოდრიადნიკის მიზნით, რომ ვერ მოასწრო შეკერვა—ამ შემთხვევაში ესენი გაეგზავნებათ მილიციონერებს მახრის უფროსების ხელიდან შეკერვისა თანავე—თუ მიტომ რომ დრუჟინის კამანდირები არ გარიგებიათ იმათ, რადგანაც შაუხედავს, რომ ისინი ვერ ასწრობენ ძველ გარიგებულს, არა თუ ახალი მოთხოვნილება შეასრულონ. მაშა სადამე ზოგიერთ მილიციონერს ერგებათ ამ 40 მან., კიდევ ფულათ რამოდენიმე მანეთი. სუ-

ველა ესენი, ე. ი. რომელი რიცხვიდამ რომელ რიცხვიდამ მსახურებს, რა ნივთები მიიღო, რა ფასად ღირებული, ან რამდენი ფულათ უნდა მიიღოს, მე ვამბობ, ესენი სულ გამოყვანილი აქვთ მათ ბილეტებში, რომელიც დაურიგეს დათხვენისა თანავე, ასე რომ თავის ჯამაგირიანებ თითო მილიციონერს ხვედა 16 მან.—50 მანეთამდე.

სულზედ მიეცათ მხოლოდ თავის ორი თვის ჯამაგირი და დანარჩენი 40 მან. სანუქარი 6 მ. 65 კ. სხვა ფულები ანუ ნივთები, თუ დარჩა პოდრიადნიკთან გარიგებული, მიიღებენ ისინი შემდეგში თავთაიანთ აზრის სასამართლოებში ვისურვოთ, მრამ ეს ფულები არ დაეკარგონ ამ მხნე და მირჯვე ბიჭებს. მეორებითა სხვა და სხვა მყლაპველი სურვილებისა, რომელნიც ბლომათ არიან ხოლმე გაფანტულნი ფულების წამოსავალ გზაზედ და სტანციებზედ.

მილიციონერებს იგრე ჩააბარებს სამხედრო მთავრობა საზოგადოებას, როგორც ამან ჩააბარა პირველში, გამოწვევისა თანავე.

ოქის უაქვებ

ოსმალეთი

— პოლიტიკურ პორრესპონდენცია —

ბატონო, მე სრულებით არ მჯერა, რომ თქვენ ეს აზრი მოუქრებით გამოგვსთქვით—უქველია კალამა წაგიტყუოთ. სწორე მოგახსენოთ იმერლები და თეზი“ რომ დაგეწერათ მაგდენ შრომას უფრო საფუძველი ექნებოდა. ოორემ ვინც კი გლევხაცის ცხოვრებასთან ცოლთი მინც გაცნობილი ვართ, ყველამ კარგათ ვიცით, რომ სრულებით დარბილავს ის არის, რომელიც ყოველივე დონისიძიებას მოკლებულია და ძალა უნებურად იძულებული ხდება სასწილო დღეშიაც კი ცეცხლს ლობიოს კოჭობი მიუდგას.

გლევხაცს წელიწადში ექვს თვეზედ უფრო ნაკლები სხილი ღდებები რჩება და ამ სხილგებში იგი ჰმართამს: ძეობას, ნათლობას, ნიშნობას, ქორწილს, ქელესს, (თუ მარხვაში მოუყვდა ვინმე სხილში სულს უხსნის) შეიღველს, წლის წირვას, და სხვა და სხვა საღმთობებს და ღვთის წირვებს. და ვინ არ ვიცით, რომ ამ დროს სულ თავზე საყრელათ აქვსთ ხოლმე გლევხებს პური, ღვინო და ხორაგეული. ამასთანავე გათენდება თუ არა ახალ წელიწადი, მოჰყვებიან და ძალზედ უმუხრებიან დიდმარხვის მოსელამდე მთელი ღდებში ხორცეულით გული დაუყრან. შეუღვირში რომ რაღა თქმა უნდა, მთელ კვირას სულ საყველიეროს ცოხნიან და რაც ძალა და ღონე აქვსთ იტენენ კუჭს და მშვილობებიან სასწილო საქმელებს—ზოგი რასაკვირველია საუკუნოთაც.

მინცა და მინც დიდმარხვა ხალხის ფეხში რალაც საიდუმლო საშიშო სურათს წარმოადგენს, რაკი დამარხვებზე ყველას იმედი გადაწყვეტილი აქვსთ, რომ აღდგომას დაესწრნენ, სხვათა შორის ხალხში შემდეგი გარდმონაცემიც კი სუფევს: ერთს ღარიბ გლევს დიდმარხვა კარზე აღგებოდა და რომ არა ჰქონდა - რა, აღებობამე დაეყენებინა, ცოლის რჩევით ჩამოიღო სახლის კარი, გაყიდა და დაუხვდა მარხვას პირ სხილიანი. ამ ამბავმა მეფის ყურამდე მიღწია და როცა მეფემ გამოჰქითხა მიზეზი, რომ იმან სასტიკ ზამთარში ცოლ - შვილი უკარო სახლში დასტოვა, გლევმა მოახსენა: „შე დღეგრძელო მეფევ, აღდგომამდე ვინ იცის რამდენი თავი განმეს და მეც რა ვიცი მანამდე რა მიწერია და სხვა შეძლება რო არა ჰქონდა - რა ეგ მოვახერხებ.“ მეფემ მოუწონა პასუხი და საჩუქრით გაისტუმრა. ამ მაგალიტს სხვა გლევმაც მიჰხედა და აღდგომა რო თენდებოდა სილარბის გამო იმანაც კარი ჩამოიღო. მეფე ამას გაუჩივსდა: არა, შე უგუწუროო, გიხსნილდებოდა, ხომ არ გიმარხვდებოდაო, და ღირსეულათაც დასაჯა.—მართის სიტყვით დიდმარხვას მხეთ ნაირი განვლენა აქვს ხალხზედ, რომ დიდმართამდე დაესწრას მინც იმედი არა აქვს, რომ ის აღდგომის წითელ კვერცხს გაუტყენის. მათენდება თუ არა აღდგომა და მან კი სიტყვლვ გაქვსთ ჩვენი გლევნობა იყრის ხოლმე ჯავრს, რაც მარხვა-

ში“ იწერებიან ძონსტანტინოპოლიდამ, რომ მეჰმედ-ალი თავის უკანასკნელ ტყველგრამით ღიაკოვიდამ აცნობებს პორრესპონტს, რომ იმან ჩერნოგორიელებს მისცა ბუსინიე, რომ ძველ სერბიაში იმან ვერა მოახერხა რა, ვინიან იმის სიტყვლეს არვინ შეეხოს, თქირობს სკუტარში წასვლას. მეჰმედ-ალიმ დარწმუნებით გამოაცხადა, რომ აღბანიაშიაც თავის მონღობილობას ვერ შეასრულებს. იმას იმედი არ ჰქონდა, თუ პიდგორიცისა და საუყას ჩაბარება ჩერნოგორიელებისადმი მშვიდობიანათ გათავდებოდაო.

აშსტრია

ბელგრადიდან იწერებიან 2 სექტემბერს, უცხო ქვეყნის გაზეთებში, რომ როცა ავსტრიის ჯარები შევიდნენ ბოსნიაში და ჰერცეგოვინაში, ზოგიერთმა თათრის მოყვარე პირთ, ყოველივე უსაბუთო მიზეზით, დაუწყეს ცილის წამება სერბიელებს და ჩერნოგორიელებს, რომ ვითომ ისინი კაცებით და იარაღებით შეელოდნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ინსურგენტებსაო. ღიდ ხანს ითმინა სერბიის მმართველობამ ამ გვარი ცილის წამება და ყურადღებას არ აქცევდა; მაგრამ ბოლოს იმან გადაწყვიტა დაამტკიცოს უსაფუძვლოთ გავრცელებული ხმები. ავსტრიის ჯარების მთავარ-სარდალი დარწმუნდა, რომ ინსურგენტებში არ ურევია არც ერთი სერბიელი და რომ წინააღმდეგობა მხო-

ში დააკლდათ სულ ერთბაშად ჩაუძახებს სადაც ჯერ არს. საცოდავი კუჭი შვილი კვირის ნამარხულიევი ვერ იტანს ერთბაშათ იმდენ ხორაგეულს და ბევრნიც ხედ შეაკვდებიან ხოლმე კუჭის ანთებით.

აღდგომიდან მოჰყვება სხვა და სხვა ხატის ღდებები, მაგ. აღდგომა, შეღვაწობა, სამეობა, ძვირაცხოვლობა, ძეაშუეთობა, ზღუდრობა, მომართობა, უსანეთობა, ამაღლება და სხე. მართის სიტყვით, ამაღლებამდე მოუხვეწრად სულ სოფელ-სოფელ დაიარებიან ღდებებში და სულ თავზედ იყრიან საქმელსასმელს. და აბა ერთი პიბძანეთ განაჰკლია ჩვენს გლევს კაცს ხორცის ჰამა? სხვა რამ უკეთილი ჰქიდავეთ, ბატონო, თორემ პირის გემოვნების მიყოლაში ჩვენი გლევს კაცი ვეროპიელსაც გადააჭარბებს. მართის სიტყვით, ჩვენ გლევხაცს ხორცი არ აკლია და მაშასადამე მისი ცხოვრების გაუმჯობესობისთვის, ზნეობით ამაღლებისთვის და ქუჩის განათლებისთვის სულ სხვა სახსარი უნდა ექნითო.

დასასრულთ ამასაც ვიტყვი, რომ ჩვენში პატარა გოგონებმაც კი ისეთი გემრიელით იციან ლობიოს შემზავება სხვა და სხვა გვარი სამკაულით და სურნელებით, რომ თქვენი რვეტელ კოჭობის საფარებლობათაც არ გამოადგებათ.

ილ. აღხაზაშვილი.

ლოდ მაჰმადიანებისგან არის, რომლებთანაც სერბიელებს, როგორც ქრისტიანებს, არაფერი საზოგადო არ შეუძლიანთ იქონიონ.

დახოცილებსა და დატყვევებულ ინსურგენტებზე შორის არც ერთი სერბიის ქვეშევრდომი არ იმყოფება. აქედამ, როგორც მენაში, ისე პეშტში დარწმუნდნენ, რომ სერბია მონაწილეობას არ იღებდა ინსურგენტებთან.

რუსეთი

რუსულ გაზეთებში მოყვანილია უცხო ქვეყნის გაზეთებიდან ამოღებული ცნობა, რომ გვარწმუნებენო, ვითომც ერთი ფინლიანელი, სახელად შრეიცერი, გენერალ მეზენცოვის ნამდვილი მკვლელი დაიჭირეს პოლშის სამხედრო ზედ და გაგზავნეს პეტერბურგში. იმას უნახეს: ხანჯალი, სისხლში მოსერილი, წერილი და ცისფერი სათვალეები, რომლებითაც ის დადიოდა მკვლელობის შესრულების დროსაო.

— პეტერბურგში მიღებულია ტელეგრამა „პოლიტიკურ პორრესპონდენციაში“, შესახებ ოუსეთის მმართველობის მხრით ხალხთა შორის კამისიაში აღმოსავლეთ რუმელიის დასაწვერებლად თ. ცერეტელოვის დანიშვნაზე, რომელიც ბევრგან იყო თანამგზავრი გენერალ იგნატაივისა, როცა ის დადიოდა ელჩად.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბელგრადი, 4 სექტემბერი. სერბიამ გადაწყვიტა, რომ ახალი-ბაზრის პაშალიკში არავითარს შეიარაღებულ შემწეობას არ მისცემს ავსტრიას და უარ ჰყო

ავრეთვე ავსტრიასთან დამოუკიდებელ სერბულაზედ. 15,000-მდის სერბიელები და ბოსნიელები ინსურგენტებს მიმხრობიან პასსავეინის მახრამი.

იალტა, 5 სექტემბერს. შავი ზღვის ფლოტის უფროსი კამანდირი დღეს აქ მობრუნდა ბათუმიდან. ამბობენ, რომ იმან ამ მგზავრობიდან ძალიან სასიხარულო შთაბეჭდილება გამოიტანაო. ბათუმის შეძენას ის უძვირფასეს შეძენათ სთვლის.

ოდესა, 6 სექტემბერს. ბუშინ მოვიდნენ აქ კრეისერები „რუსეთი“ და „ნიჟინოვგოროდო“. პირველი მოვიდა სან-სტეფანოლამ ჯარებით; მეორე—ინგლისილამ, საიდანაც მოიტანა ქვის ნახშირი ფლოტისათვის.

განცხადებანი

სანაქებო დაქონალი ქროსის ეზო
ამ დღეებში მივიღეთ თბილისში სიბირის მხრიდან, რომელიც ისყიდება თამამშოვის ქარვასლასთან, თუთუნოვის კანტორის წინა. ბოჩკით მყიდველისათვის ფუთი 13 მანეთი, ფუთობით და ნახევარ ფუთობით 14 მანეთი და გირვანქობით ორი აბაზი. მეტათ საქებურია ამ ეზობს სუნი და გემო.

(2-2)

ბაქირაეების 2 სუფთა ოთახი ერთათ და ცალ-ცალკედ მე 2 რე ეტაჟში ძრანსო გორსკის ქუჩაზე სახლის № 7.

(3-3)

გიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზრის
აუი ისყიდება: **„ნიწო“**
მოთხრობა თავადი რაფიელ ქრისტვისა,
ფასი 15 კაპიკი.

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში მართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზრებში.

დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. შპიკაშვილისაგან
ფასი სამი კაპიკი

მეოთხედი თაბახი სწურის ქალაქი-სა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მგრეგორის ხელი; 2 მაგალითი წიგნილამ გადმოწერისათვის მგრეგორის ხელი; 3 ანბანის დედანი ნუსხურის ხელი და 4 დედანი (იგვე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ზოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები — რა უმთავრესს საფუძვლით ებმის ასოების ერთმანეროს გაბმულის ხელით წერაში.

ავრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა წიგნი სიზრძნე სიცრუისა თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური
თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სკელ ქალაქლზე. ფასი ერთი მანეთი. (5-3)

| რპ. ზზა. | დ.ილა. | ს.ადა. | II კ. | III კ. | ტელეგრაფი | მანკაპ. | მაზანდა | მანკაპ. | თფილისის სამაჰრანალო |
|-------------|--------|--------|--------|--------|---|---------|--------------------------------|---------|---|
| თფილისი | 9 21 | 5 18 | მ.კაპ. | მ.კაპ. | მ.ცი სიტყვა თფილისილამ: | | თფილისი, 7 სექტემბ. | | ქრევის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში. |
| მცხეთა | 10 11 | 6 27 | 68 | 38 | ქუთაისს, შოთს | 1 | შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 160 | აუთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათილამ 1-მდინ. |
| ზორი | 11 58 | 9 43 | 240 | 133 | ზორს, ლუშეთს, სიღნაღს | 50 | შქვილი წითელი | 120 | მ.რ შაბათს: მერმიშვილი და ბარლევინა — შინაგ. ავთ., ქიუჩარინა — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები. |
| საშური | 1 29 | 11 57 | 392 | 218 | რასტოვს, მდესას, მოსკოვს | 2 | ქერი ფუთი | 130 | სამშაბათს: მერმიშვილი — შინაგ. პ. ბახტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის. |
| სურამი | 1 44 | | 442 | 246 | პეტერბურგს, პარშაფს | 2 | ბაბა ქრევისა, ფუთი | 750 | მ.თხ შაბათი: მერმიშვილი — შინაგ., ქიუჩარინა — სიფილიტიკური და საშარდო ორგანების. |
| შვირილა | 5 49 | | 581 | 323 | მსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — ამერიკიაა, ფუთი | 850 | პარასკევს: მერმიშვილი — შინაგ., პ. ბახტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვის. |
| რიონი | 6 57 | | 675 | 375 | იტალიაში და საფრანგეთში | 350 | ბაპენტალი ბაბა ფუთი | 10 | შაქარი, ბროცა ფუთი |
| სამტრედია | 7 51 | | 773 | 429 | ინგლისში | 375 | მატყული თუშური ფუთი | 830 | — ფხენილი ფუთი |
| ახალ-სენაკი | 8 43 | | 857 | 476 | ზოგად | | — თარაქამისა ფუთი | 450 | ქავა გრგვოლი, გირვ |
| შოთი | 9 50 | | 975 | 542 | ა) თფილისილამ: სამხედრო გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხეთშ. მ.ზურ. — პარასკ. და ორშ. პახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისილამ: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურ. გვთს — ორშ. და პარასკ. | | აბრეშუმი ნუხური სტ. ქონი, ფუთი | 2 | ქეითი ქუნჯუთისა ფუთი |
| ზოთი | 9 | 3 | | | წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამხედრო გარეთ: | კაპ. | აბრეშუმი ნუხური სტ. ქონი, ფუთი | 560 | თამაქო, საშულო ფთ. |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | 118 | 66 | ლია წიგნის | 4 | ქონის სანთელი ფუთი | 840 | |
| სამტრედია | 11 | 5 | 26 | 114 | დაბეჭდვის (ხამი მისხალი) | 8 | სტეარინის სანთელი, ფთ. | 1245 | |
| რიონი | 12 | 13 | 34 | 169 | | | ხორცი ძროხისა, ლიტ | 81 | |
| შვირილა | 1 | 18 | 398 | 221 | | | — ცხვრისა, ლიტრა | 90 | |
| სურამი | 5 | 12 | 110 | 533 | | | — სპირტი ვედრო | 480 | |
| საშური | 5 | 39 | 137 | 584 | | | შაქარი, ბროცა ფუთი | 750 | |
| ზორი | 7 | 5 | 48 | 736 | | | — ფხენილი ფუთი | 620 | |
| მცხეთა | 8 | 50 | 659 | 854 | | | ქავა გრგვოლი, გირვ | 70 | |
| თფილისი | 9 | 31 | 756 | 975 | | | ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი | 1350 | |